ალტე უნივერსიტეტი

ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტი

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების
შედეგები
(კონსოლიდირებული ანგარიში)

ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის ძირითადი დანიშნულებაა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის, პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის შეფასება, სწავლებისა და კვლევის ხარისხის კონტროლი, მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი. აღნიშნულის რეალიზაციის მიზნით უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სხვადასხვა კვლევები ხარვეზების გამოსავლენად, რომელთა შედეგების ანალიზის საფუძველზე ყალიბდება რეკომენდაციები მათ აღმოსაფხვრელად.

2022-2023 სასწავლო წელს დაიგეგმა და განხორციელდა:

აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლის მიერ პროგრამების შეფასება;

სასწავლო კურსების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება;

აკადემიური/მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების შეფასება;

სკოლების და სხვა სტრუქტურული ერთეულების საქმინაობის შეფასება;

პერსონალის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასება (მ.შ. თვითშეფასების მექანიზმის

გამოყენებით);

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების და კვლევით საქმიანობაში ჩართულობის შეფასება;

ინტერნაციონალიზაციის მდგომარეობის შეფასება;

სხვა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით გათავლისწინებული კვლევები.

კვლევების შედეგად დაწესებულებაში სხვადასხვა მიმართულებით გამოიკვეთა ცალკეული ხარვეზები, რომელთა დროული აღმოფხვრა როგორც ინსტიტუციის შემდგომი განვითარების, ისე სტუდენტთა საუკეთესო ინტერესების დაკმაყოფილების აუცილებელი პირობაა.

<u>საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების</u> მიზნით განხორციელდა აკადემიური/მოწვეული პერსონალის, პროგრამის ხელმძღვანელების, სტუდენტების, სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა.

გამოკითხვის შედეგად, პროგრამების ერთ-ერთ ძლიერ მხარედ დასახელდა პროგრამის კომპონენტების სწორი ორგანიზება: კომპონენტის მიზნებთან სასწავლო მასალის, შეფასების ინსტრუმენტების, სწავლის შედეგების შესაბამისობა. ყველაზე მაღალი ჯამური საშუალო შეფასება ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლისთვის გამოვლინდა (7.8 ქულა), მას მოყვება მედიცინის (7.5 ქულა), სამართლისა (7.4 ქულა) და ბიზნესის სკოლები (7.3 ქულა). დადებითად შეფასდა ლექტორების პედაგოგიური უნარები და პროფესიული მომზადების დონე. ყველაზე მაღალი ჯამური საშუალო ქულა ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამისთვის გამოვლინდა (8.4 ქულა). ასევე შედარებით მაღალია შეფასებები საერთაშორისო ურთიერთობებისა და ტურიზმის მენეჯმენტის პროგრამებისთვის (შესაბამისად, 8.1 და 7.9 ქულა). ყველაზე ნაკლებ პოზიტიური შეფასება კი ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამამ მიიღო (7.1 ქულა).

სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა <u>სასწავლო კურსები,</u> რომლებმაც სტუდენტების მაღალი შეფასება დაიმსახურეს:

ბიზნესის სკოლის შემთხვევაში **ყველაზე მაღალი შეფასების** მქონე საგნებია: „პროტოკოლი და ეტიკეტი“ (9.8 ქულა), „სტრატეგიული მენეჯმენტი“ (9.6 ქულა) , „გაყიდვები და მარკეტინგი სტუმართმასპინძლობის ინდუსტრიაში“ (9.3 ქულა) და „პრაქტიკა“ (9.2 ქულა).

სამართლის სკოლისთვის **ყველაზე მაღალი შეფასების** მქონე საგნებია: „საპროცესო უნარები სისხლის სამართალში (პრაქტიკული კურსი)“ (9.9 ქულა), „საკორპორაციო სამართალი“ (8.8 ქულა), „საპროცესო უნარები სამოქალაქო სამართალში(პრაქტიკული კურსი)“ (8.5 ქულა).

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სტუდენტების შეფასებების მიხედვით, **ყველაზე მაღალი შეფასების** მქონე საგნებია: „ფრანგული ენა 1“ (9.6 ქულა), „ანალიტიკური ჟურნალისტიკა“ (8.8 ქულა), „შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში“ (8.7 ქულა), „საერთაშორისო საჯარო სამართალი“ (8.6 ქულა), „საგამოძიებო ჟურნალისტიკა“ (8.6 ქულა), „ფოტო და ვიზუალური ჟურნალისტიკა“ (8.5 ქულა) და „რადიოჟურნალისტიკა“ (8.5 ქულა).

მედიცინის სკოლაში **ყველაზე მაღალი შეფასების** მქონე საგნებია: „ქართული III“ (9.3 ქულა), „კვლევები მედიცინაში II“ (8.8 ქულა), „ექიმი და პაციენტი III (ბიოეთიკა II, კლინიკური უნარები, CBL)“ (8.7 ქულა) და „ბიომედიცინის საფუძვლები III (მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, პარაზიტოლოგია, PBL)“ (8.6 ქულა).

<u>გამოვლინდა ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე ლექტორებიც:</u>

ბიზნესის სკოლის შემთხვევაში, **ყველაზე მაღალი საშუალო ქულით შეფასდა** ზურა გამთენაძე, ქეთევან ბოკუჩავა, ეკატერინე ჯანაშია, ანი ვაშაყმაძე და თორნიკე ჯობავა; სამართლის სკოლის შემთხვევაში - დავით დილიძე, ნინო ქოჩიაშვილი, ნინო ხარიტონაშვილი და თამარ ლალიაშვილი; ჰუმანტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლისშემთხვევაში - სალომე მუხაშავრია, ზანდა ჩეჩელაშვილი, ნატო ონიანი, თამარ თვალაძე, გიორგი კობერიძე, დავით ბუჯიაშვილი, დავით ღონღაძე; მედიცინის სკოლის შემთხვევაში - ნინო გრიგოლია, თამარ შარაშენიძე, ანა სუხიაშვილი და იოსებ ჩიხლაძე შეფასდნენ.

დადებითთან ერთად გამოიკვეთა უარყოფითი შედეგებიც. გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა სასწავლო კურსები, რომლებიც მკვეთრად უარყოფითად შეფასდა სტუდენტების მიერ. ესენია:

ბიზნესის სკოლა - „მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის 1“ (5.3 ქულა), „ფინტექი“ (5.6 ქულა), „ფინანსური აღრიცხვა“ (5.8 ქულა), „კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა და მდგრადობა“ (5.8 ქულა), „საჯარო გამოსვლის ტექნიკა“ (6.1 ქულა), „პროექტების მენეჯმენტი“ (6.1 ქულა), „გუნდური ანტრეპრენერული პროგრამა 1“ (6.4 ქულა);

სამართლის სკოლა - „შესავალი ფილოსოფიაში“ (5.4 ქულა), „ქართული სამართლის ისტორია“ (5.7 ქულა), „საკანონმდებლო ტექნიკა“ (5.8 ქულა), „სამართლებრივი წერა“ (6.0 ქულა), „შესავალი სამართალმცოდნეობაში“ (6.2 ქულა), „სისხლის სამართალის ზოგადი ნაწილი 1“ (6.2 ქულა), „შესავალი სამოქალაქო სამართალში“ (6.2 ქულა), „სანივთო(ქონებრივი) სამართალი“ (6.3 ქულა);

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა - „შესავალი ფილოსოფიაში“ (5.4 ქულა), „სტატისტიკური მეთოდები ფსიქოლოგიაში“ (5.9 ქულა), „საჯარო გამოსვლის ტექნიკა“ (6.1 ქულა), „კოგნიტური ფსიქოლოგია“ (6.3 ქულა);

მედიცინის სკოლა - ,,ექიმი და პაციენტი I (კლინიკური უნარები, კომუნიკაცია, CBL)“ (5.1 ქულა), ,,ექიმი და პაციენტი II (კლინიკური უნარები, CBL)“ (5.4 ქულა), ,,ქართული ენა“ (6.1 ქულა).

ყველაზე ნეგატიურად შეფასებულთა რიგში აღმოჩდნენ ბიზნესის სკოლის 7 ლექტორი (გვანცა ფაცაცია, დავით კიკვიძე, მარიამ ბერიაშვილი, ნელი მერაბიშვილი, დავით მირველაშვილი, თორნიკე მათითაშვილი, მანანა ჯორჯიაშვილი); სამართლის სკოლის 5 ლექტორი (ნინო შარმანაშვილი, მექი ლობჟანიძე, ლევანი დუნდუა, ეკა კაველიძე და მინდია ბერეკაშვილი); ჰუმანტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის 3 ლექტორი (მექი ლობჟანიძე, ნელი მერაბიშვილი, მანანა ჯორჯიაშვილი); მედიცინის სკოლის 1 ლექტორი (ეკატერინე სანიკიძე).

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებამ გამოავლინა ხარვეზები, რომლებიც საჭიროებენ რეაგირებას:

სამართლის საბაკალავრო პროგრამა:

სასურველია არჩევითი სასწავლო კურსების გამრავალფეროვნება, ინგლისური ენის კომპონენტის გაძლიერება, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება, რიგ სასწავლო კურსებში საკონტაქტო საათების გაზრდა (მაგ., საპროცესო უნარები);

სამართლის სამაგისტრო პროგრამა: უცხოენოვანი სასწავლო კურსების დამატება, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება, განმავითარებელი შეფასების აქტიურად გამოყენება;

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა:

ინგლისური ენის კომპონენტის გაძლიერება, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება; შეფასების მეთოდების გამრავალფეროვნება, შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების კორექტირება ცალკეულ შემთხვევებში;

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა:

ინგლისური ენის კომპონენტის გაძლიერება, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება, სწავლების ელექტრონული მეთოდების დანერგვა;

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა:

ინგლისური ენის კომპონენტის გაძლიერება, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება, დარგობრივი არჩევითი კურსების დამატება, სწავლების პრაქტიკული მეთოდების გამრავალფეროვნება, პროგრამის შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების გადახედვა;

საერთშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა:

სასწავლო მასალის გამრავალფეროვნება და უახლესი მასალის გამოყენება, უცხოენოვანი სასწავლო კურსების დამატება, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება, სწავლების და შეფასების პრაქტიკული მეთოდების აქტიურად გამოყენება;

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა:

ინგლისური ენის კომპონენტის გაძლიერება, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება, სწავლების პრაქტიკული მეთოდების გამრავალფეროვნება, შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების კორექტირება;

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა:

პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება;

ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა:
არჩევითი სასწავლო კურსების დამატება, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება, პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად ჩამოყალიბება, სასწავლო მასალის გადახალისება;

მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი):
გასამდიდრებელია სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდები, გასამდიდრებელია არჩევითი კომპონენტი, გასაძლიერებელია კლინიკური კომპონენტი, შეფასების მეთოდების გამოყენება უფრო სამართლიანი და გამჭვირვალე უნდა იყოს, გასავითარებელია პროგრამის ადამიანური რესურსი, გასაზრდელია საკონტაქტო საათები კლინიკურ ბაზებზე სწავლებისას; გასაზრდელია არჩევითი საგნების რაოდენობა;

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი):

დასანერგია სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდები, გასაძლიერებელია პრაქტიკული კომპონენტი.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შეფასების შედეგად გამოვლინდა სტუდენტების:

ბიბლიოთეკაში სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობით უკმაყოფილება;

უნივერსიტეტის ვებ-გვერდით უკმაყოფილება;

სასწავლო პროცესის მართვის ელ.სისტემით უკმაყოფილება.

<u>პერსონალის კმაყოფილება</u>

უნივერსიტეტის პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზმა გამოკვეთა როგორც დადებითი, ისე გასაუმჯობესებელი მხარეები.

დადებითად შეფასდა, მაგალითად, უნივერსიტეტის შენობა, ინფრასტრუქტურა (კაფეტერიის გამოკლებით), უსაფრთხოება და სამუშაო პირობები, საგამოცდო პროცესი და სხვ..

გამოიკვეთა პრობლემები, რომლებიც საჭიროებენ ადეკვატურ რეაგირებას და ოპერატიულ გადაჭრას. ადმინისტრაციულმა და დამხმარე პერსონალმა დააფიქსირა პროფესიული და პიროვნულ განვითარების ხელშეწყობის, წახალისების მექანიზმების დანერგვის (მ. შ. სახელფასო პოლიტიკის გაუმჯობესება), ფუნქციების გამიჯვნის, დატვირთვის რაციონალური გადანაწილების, ადამიანური რესურსის გაზრდის, კვალიფიციური კადრების მოზიდვის, მართვის პროცესში თანმიმდევრულობის, ერთგვაროვნების, თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფის, ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფის, ინფორმირებულობის ხარისხის ამაღლების, ვებ-გვერდის, ასევე ელექტრონული პროგრამების გამართული მუშაობის უზრუნველყოფის, კაფეტერიის და სველი წერტილების მოწესრიგების საჭიროება.

აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა დააფიქსირა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის, წახალისების მექანიზმების დანერგვის (მ. შ. სახელფასო პოლიტიკის გაუმჯობესება), კვლევითი, მ. შ. საერთაშორისო დონეზე საქმიანობის ხელშეწყობის, ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფის, ინფორმირებულობის ხარისხის ამაღლების, მართვის ორგანოების საქმიანობაში ჩართულობის გაზრდის, საბიბლიოთეკო რესურსის გაზრდის, კაფეტერიის მოწესრიგების აუცილებლობა.

<u>ინტერნაციონალიზაციის ასპექტი</u>

სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის რეალიზაციის შედეგების შეფასების შედეგებმა აჩვენა დარგობრივად ორიენტირებული გაცვლითი პროგრამების გაფართოვების, უცხოეთში სასწავლო პრაქტიკის განხორციელების, ერთობლივი პროგრამების დანერგვის, ინგლისური ენის სწავლების დონის ამაღლების, უცხოელი ლექტორების მოზიდვის, ხოლო პერსონალის მიერ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის რეალიზაციის შედეგების შეფასების ანალიზმა გამოკვეთა საერთაშორისო მობილობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და შესაბამისი შეთავაზებების გაზრდის აუცილებლობა, საერთაშორისო სამეცნიერო პროექტების განხორციელების საჭიროება, სწავლების საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების საჭიროება, უცხოენოვანი სასწავლო მასალის გამოყენების მასშტაბის გაზრდა.

<u>უნივერსიტეტის პერსონალის და სტუდენტების **კვლევითი საქმიანობის** ანალიზმა</u> გამოავლინა შემდეგი საჭიროებები:

1. პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, ვორქშოფებში და სხვ ტიპის აქტივობებში მონაწილეობის წახალისება/ხელშეწყობა;
2. პერსონალის სამეცნიერო ნაშრომების მაღალრეიტინგულ, მ. შ. უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნების წახალისება/ხელშეწყობა;

3. პერსონალის ეროვნულ და უცხოურ საგრანტო პროექტებში მონაწილეობის წახალისება/ხელშეწყობა;
4. სტუდენტთა კვლევითი უნარების განვითარება და მოტივაციის ამაღლება.

<u>სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგების</u> ანალიზმა გამოკვეთა შემდეგი პრობლემები:

1. პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროება;
2. ლექტორთა დაგვიანება/გაცდენები;
3. სტუდენტთა დაბალი დასწრება ან/და ჩართულობა.

ხოლო სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესის შეფასების ანალიზმა გამოკვეთა შემდეგი პრობლემები:

1. სასწავლო და გამოცდების ცხრილების არაორგანიზებულობა;
2. შეფასებების არაობიექტურობა;
3. საგამოცდო საკითხების და გავლილი მასალის აცდენა;
4. საგამოცდო დროის სიმცირე;
5. საკონტაქტო საათების სიმცირე (განსაკუთრებით ინგლისურ ენაში);
6. სწავლების პრაქტიკული მეთოდების გამოყენების სიმწირე.

სასწავლო პროცესის შეფასებისას, ყველაზე მაღალი ჯამური ქულა ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის შემთხვევაში გამოვლინდა (8.1 ქულა), სამართლის სკოლისთვის მონაცემი 7.5 ქულას უტოლდება, ბიზნესისა და მედიცინის სკოლებისთვის კი 7.4 ქულას.

დადგინდა **სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები.**

<u>სკოლების მიხედვით უნივერსიტეტის სტუდენტების აკადემიური მოსწრების (GPA) მდგომარეობის კვლევის</u> შედეგების გათვალისწინებით განხორციელებულმა აქტივობებმა გამოკვეთა სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ნუსხა. ესენია:

1. კომუნიკაციური (როგორც ვერბალური, ისე წერითი, მ. შ. ინგლისურ ენაზე) უნარების განვითარების ხელშეწყობა;
2. პრაქტიკული სწავლების ელემენტების გაძლიერება;
3. ინდივიდუალური მიდგომების გააქტიურება და სამოტივაციო ღონისძიებების გატარება;
4. მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოზიდვა, არსებული პერსონალის გადამზადება;
5. სასწავლო ლიტერატურის გადახალისება;
6. მატერიალური ბაზის გაძლიერება (ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამების).

<u>სკოლების მიხედვით გაუსის განაწილების დიაპაზონის</u> ანალიზმა აჩვენა, რომ დადგენილი დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრა დაფიქსირდა სასწავლო კურსების 1,5 %, ხოლო დანარჩენ

სასწავლო კურსებში გაუსის განაწილების დიაპაზონი დადგენილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში დაფიქსირდა.

ანალიზის შემდგომ განხორციელებულმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ შესაბამის სასწავლო კურსებში გადასახედია:

1. სასწავლო ლიტერატურა ან/და შესაბამისი ტექნიკური რესურსი;
2. სწავლა/სწავლების და შეფასების მეთოდები;
3. პრერეკვიზიტები;
4. მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოზიდვა, არსებული პერსონალის გადამზადება.

განხორციელდა სტუდენტების პროგრამებით კმაყოფილების მაჩვენებლებისა და მათი აკადემიური მოსწრების შედარება. კორელაციის ცხრილები გვიჩვენებს, თუ როგორ დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან სტუდენტების აკადემიური მოსწრება და მათ მიერ პროგრამით ჯამური კმაყოფილების შეფასება. კორელაციის ცხრილის შედეგების მაქსიმალური მნიშვნელობებია 1 და -1. თუ შედეგი 0, 0.1 ან -0.1-ია, ორი ცვლადი ერთმანეთთან კორელაციაში არ არის, ხოლო, რაც უფრო ახლოსაა მიღებული შედეგი 1-თან ან -1-თან, მით უფრო დადებითი ან უარყოფითია კორელაცია.

ქართული სექტორის შემთხვევაში იკვეტება, რომ არ არის მკვეთრად გამოხატული კორელაციები სტუდენტების აკადემიურ მოსწრებასა და მათი პროგრამებით კმაყოფილებას შორის. აქტივობას, შუალედურის შეფასებებს, დასკვნითი გამოცდის შედეგსა და GPA-ს თითქმის ერთნაირი კორელაციის კოეფიციენტი აქვთ, რაც მცირე კორელაციად ითვლება და შეგვიძლია ითქვას, რომ ამ კომპონენტებს აქვთ ძალიან მცირე კავშირი პროგრამით კმაყოფილებასთან. ყველაზე მაღალი კოეფიციენტი (0.33) მიღებულ ქულას აქვს, თუმცა აღნიშნული შედეგიც არ გამოხატავს მნიშვნელოვან კავშირს ამ ორ ცვლადს შორის.

ცხრილი 1. კორელაცია განვლილი პროგრამით ჯამურ კმაყოფილებასა და აკადემიურ მოსწრებას შორის (ქართული სექტორი)

განვლილი პროგრამით კამყოფილება	1.00							
აქტივობა	0.26	1.00						
შუალედური	0.20	0.26	1.00					
შუალედურის აღდგენა	-0.02	-0.05	-0.41	1.00				
დასკვნითი	0.26	0.48	0.41	-0.04	1.00			
დასკვნითის აღდგენა	0.02	-0.01	-0.02	0.16	-0.31	1.00		
მიღებული ქულა	0.33	0.82	0.57	0.02	0.74	0.11	1.00	
GPA	0.20	0.52	0.39	-0.03	0.43	0.00	0.59	1.00
	განვლილი პროგრამით კამყოფილება	აქტივობა	შუალედური	შუალედურის აღდგენა	დასკვნითი	დასკვნითის აღდგენა	მიღებული ქულა	GPA

რაც შეეხება არაქართულენოვან სექტორს, ამ შემთხვევაშიც აკადემიური მოსწრების თითოეულ კომპონენტთან მიმართებით, განვლილი პროგრამით ჯამური კმაყოფილების კორელაციის კოეფიციენტები არ აღემატება ან მცირედით აღემატება 0.1-ს, რაც ასევე კორელაციის არარსებობაზე მიუთითებს.

ცხრილი 2. კორელაცია განვლილი პროგრამით ჯამურ კმაყოფილებასა და აკადემიურ მოსწრებას შორის

(არაქართული სექტორი)

განვლილი პროგრამით კამყოფილება	1.00							
აქტივობა	0.07	1.00						
შუალედური	0.04	0.51	1.00					
შუალედურის აღდგენა	-0.02	-0.36	-0.79	1.00				
დასკვნითი	0.10	0.48	0.48	-0.27	1.00			
დასკვნითის აღდგენა	-0.03	-0.13	-0.15	0.16	-0.36	1.00		
მიღებული ქულა	0.11	0.79	0.61	-0.34	0.85	-0.12	1.00	
GPA	0.11	0.61	0.40	-0.29	0.47	-0.15	0.61	1.00

<u>SWOT ანალიზის</u> შედეგების მიხედვით უნივერსიტეტის სუსტი მხარეებია:

1. პერსონალის დასტუდენტების დაბალი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობა;
2. პერსონალის პროფესიული განვითარების არასაკმარისი ხელშეწყობა;
3. უცხოელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის სიმწირე;
4. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ავტომატიზებული სისტემის მუშაობის ხარვეზები;
5. უცხო ენის სწავლების არასაკმარისი დონე;
6. ადამიანური რესურსის სიმწირე ცალკეული მიმართულებებით;
7. საუნივერსიტეტო სტრუქტურებს შორის ფუნქციების მკვეთრი გამიჯვნის პრობლემა;
8. სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში დაბალი ჩართულობა.

ხარისხის მართვის დეპარტამენტის რეკომენდაციები:

1. განხორციელდეს უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი მოდიფიცირება გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით:

ა) გაძლიერდეს ინგლისური ენის, ასევე პრაქტიკული უნარების განმავითარებელი კომპონენტები, განხორციელდეს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე და ეფექტური მეთოდების გამოყენება, განახლდეს სასწავლო მასალა;

ბ) გაძლიერდეს პროგრამების ინტერნაციონალიზაციის ელემენტები - უცხოელი პედაგოგების მოზიდვა, ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების დანერგვა, ინგლისურენოვანი სასწავლო რესურსის გამოყენება;

2. გატარდეს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლების პედაგოგიური და დარგობრივი კომპეტენციის ამაღლებაზე ორიენტირებული ღონისძიებები, მ.შ. საერთაშოროსო მობილობის ხელშეწყობა;

3. განხორციელდეს სტუდენტთა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვლევითი აქტიურობის, მ.შ. საერთაშორისო კვლევებში ჩართულობის წახალისებაზე ორიენტირებული ღონისძიებები;

4. უზრუნველყოფილ იქნას უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების კვალიფიციური და საკმარისი რაოდენობის ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალით დაკომპლექტება

5. განხორციელდეს ღონისძიებები გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობის გასაზრდელად;

6. დაინერგოს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები;

7. უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო პროცესის ორგანიზებულად განხორციელების შესაძლებლობა;

8. გატარდეს ღონისძიებები სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დახვეწის უზრუნველსაყოფად;

9. უზრუნველყოფილ იქნას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ეფექტიანობის ამაღლება როგორც რესურსის გამდიდრებით, ისე სერვისების გაუმჯობესებით;

10. უზრუნველყოფილ იქნას უნივერსიტეტის ვებ-გვერდის იფნორმატიულობა და ორგანიზებულობა (საჭირო ინფორმაციის ადვილად მოძიების შესაძლებლობა);

11. უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების საუნივერსიეტტო საზოგადოებისთცის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

12. უზრუნველყოფილ იქნას კაფეტერიაში საკვების ხარისხის გაუმჯობესება;

13. გადაიხედოს პერსონალის დატვირთვის და სახელფასო პოლიტიკა;

14. განხორციელდეს ღონისძიებები კორპორატიული კომუნიკაციური კულტურის ასამაღლებლად.